ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4643674

ნომერი: AR1702362

თარიღი : 20.08.2019

გაცემის თარიღი : 26.08.2019

გაცნობის თარიღი : 18.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილიკო ქურხულის შესახვევი, N 4ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლონდარიძე პ/ნ 01001009744
- თბილისი აკურის ქ. N 13 ბ. 56

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს № 4623644 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 20 აგვისტოს №AR1702362 განცხადებით მომართა დავით ლონდარიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ – ქ. თბილისის  მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4623644 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 05 აგვისტოს №4611909 ბრძანებით  შეთანხმდა ქ.თბილისში (სექტორი – ისანი), ილიკო ქურხულის შესახვევი №4ა - ში დავით ლონდარიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4623644 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 13 აგვისტოდან 2021 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4623644 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას და დამკვეთად დავით ლონდარიძის (პირადი ნომერი: 01001009744) ნაცვლად შპს ,,ოზ ჰოტელ’’-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406287771) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882019671185 მომზადების თარიღი: 20/08/2019) ქალაქ თბილისში, ილიკო ქურხულის შესახვევი №4ა-ში №01.17.01.101.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ოზ ჰოტელ’’ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406287771). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,ოზ ჰოტელ’’-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406287771) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით ლონდარიძე, შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს № 4623644 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ოზ ჰოტელ’’ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406287771).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4623644 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს № 4623644 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.